



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
კორტიკური ფინანსების მონიტორინგის  
დავარტამბეტი

2020 წდინ 31 ოქტომბრინ  
არჩევნებინ  
ფინანსური მონიტორინგინ  
შუადდური ანბერიში

23 ოქტომბერი, 2020



# საჩივრი

I.	ზოგადი ინფორმაცია .....	3
II.	საარჩევნო კამპანიის ფინანსები .....	4
	1.შემოსავლები .....	4
	2.ხარჯები .....	5
III.	მონიტორინგის შედეგები .....	6
	1.შემონირულებების შესწავლა.....	6
	2.დეკლარაციების შესწავლა .....	6
	3.შემოსული განცხადებების და მედიამონიტორინგის შედეგების შესწავლა.....	7

# I. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, საკრებულოების შუალედური არჩევნების და მუნიციპალიტეტის მერების რიგგარეშე არჩევნების საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული ხარჯების, შემოსავლების და მონიტორინგის მიმდინარე შედეგების შესახებ.

სულ 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობს 62 სუბიექტი (49 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი და 11 დამოუკიდებელი კანდიდატი), რომლებსაც საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და საქართველოს გენერალური აუდიტორის ბრძანების შესაბამისად დაუწესდათ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება შემდეგი პერიოდების მიხედვით:

- 01 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით – 24 სექტემბერს;
- 22 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით – 15 ოქტომბერს;
- 13 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით – 5 ნოემბერს;
- 01 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით – წარმოდგენილ უნდა იქნეს 12 ნომერამდე (იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა);
- 01 სექტემბრიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდის ინფორმაცია – შედეგების გამოქვეყნებიდან 1 თვეში (არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);
- მეორე ტურის გამართვის დღემდე 3 დღით ადრე – პირველი ტურის კენჭისყრის დღის (31 ოქტომბრის) შემდგომ განხორციელებული საქმიანობის ფინანსური ანგარიში (მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);
- 01 სექტემბრიდან არჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდის ინფორმაცია – შედეგების გამოქვეყნებიდან 1 თვეში (მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის მოქმედი რეგულაციების და ვადების შესახებ განცხადება, ასევე შესავსები წერილების ნიმუშები. აღნიშნული განცხადება გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე და გაეგზავნა ყველა საარჩევნო სუბიექტს.

აღნიშნული ინსტრუქციის გარდა, 2020 წლის 21 სექტემბერს და 7 ოქტომბერს შედგა შეხვედრები არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლებთან, სადაც საკითხი შეეხო როგორც მათ მიერ შესასრულებელ მიმდინარე ვალდებულებებს, ასევე კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

2020 წლის 8 ოქტომბერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოწვევით, საარჩევნო თემაზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა მიმდინარე პერიოდის დეკლარაციების წარმოდგენისა და ანალიზის საკითხები, მიღებული განცხადებებისა და შემოწმებული შესწავლის სტატუსები და სხვ.



## II. საარჩევნო კამპანიის ფინანსები

### 1. შემოსავლები

საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების ორი ძირითადი წყარო აქვთ: შემონირულებები და საბიუჯეტო დაფინანსება.

წარმოდგენილი საარჩევნო პერიოდის დეკლარაციების მიხედვით, ყველა საარჩევნო სუბიექტმა 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში შემოსავლის სახით მიიღო 23,846,652 ლარი, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	შემონირულებები	ჯამური შემოსავალი <sup>1</sup>
1	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	215,505	10,139,707	<b>10,355,212</b>
2	ლელო საქართველოსთვის	–	2,599,290	<b>2,599,290</b>
3	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	103,687	2,295,309	<b>2,432,831</b>
4	გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი	26,813	2,015,505	<b>2,042,318</b>
5	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	148,001	1,886,805	<b>2,034,847</b>
6	ევროპული საქართველო	107,387	1,646,295	<b>1,773,699</b>
7	თავისუფალი საქართველო	10,759	392,900	<b>403,659</b>
8	სოციალური სამართლიანობისთვის	–	274,149	<b>274,149</b>
9	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	99,845	123,986	<b>224,041</b>
10	ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა	30,656	145,300	<b>175,956</b>
11	ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები	–	162,565	<b>162,565</b>
12	თავისუფალი დემოკრატები	63,726	73,880	<b>137,606</b>
13	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	–	107,400	<b>107,400</b>
14	სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის	–	92,384	<b>92,384</b>
	სხვა დანაჩენი	368,678	646,770	<b>1,030,696</b>
	<b>სულ ჯამი</b>	<b>1,175,055</b>	<b>22,602,245</b>	<b>23,846,652</b>

<sup>1</sup> ცხრილში მითითებულია მხოლოდ ის სუბიექტები, რომელთა ხარჯები აღემატება 100,000 ლარს.



## 2. ხარჯები

წარმოდგენილი საარჩევნო პერიოდის დეკლარაციების მიხედვით, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 1 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში დახარჯულია 22,973,913 ლარი, რაც ძირითადად ნაწილდება რეკლამასა და შრომის ანაზღაურებაზე, კერძოდ:

N	პარტიის დასახელება	რეკლამა <sup>2</sup>	შრომის ანაზღაურება	ჯამური ხარჯი <sup>3</sup>
1	ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	8,213,467	39,888	10,612,565
2	ლელო საქართველოსთვის	1,793,441	242,942	2,566,897
3	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1,864,982	9,523	2,230,757
4	ევროპული საქართველო	1,634,575	14,694	2,008,235
5	გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი	1,773,088	3,824	1,856,467
6	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	953,478	55,388	1,242,466
7	თავისუფალი საქართველო	297,378	1,000	374,027
8	სოციალური სამართლიანობისთვის	26,216	174,190	270,578
9	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	104,832	15,311	228,154
10	ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა	97,591	11,200	174,983
11	ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები	153,202	856	162,545
12	სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის	89,417	1,010	106,050
13	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	19,549	27,950	104,984
14	თავისუფალი დემოკრატები	24,966	41,178	103,313
	სხვა დანაჩენი	359,259	189,944	931,895
	<b>სულ ჯამი</b>	<b>17,405,441</b>	<b>828,896</b>	<b>22,973,913</b>

საარჩევნო სუბიექტების მიერ დეკლარირებული შემოსავლებისა და ხარჯების გადამოწმების მიზნით, აუდიტის სამსახური სისტემატურად ახორციელებს მათ შედარებას სუბიექტების საბანკო ამონაწერებთან და მედია მონიტორინგის შედეგებთან.

2 სატელევიზიო რეკლამის ხარჯი არ შეიცავს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯებს.

3 ცხრილში მითითებულია მხოლოდ ის სუბიექტები, რომელთა ხარჯები აღემატება 100,000 ლარს.



# III. მონიტორინგის შედეგები

## 1. შემოწმების შედეგები

დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემოწმებების შესწავლის პროცესში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 1,055 ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ, საიდანაც დღევანდელი მდგომარეობით ინფორმაცია მიღებულია 39 პირზე. შემოსავლების დასაბუთების მიზნით გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის მოწვეულ იქნა 13 პირი. ამ ეტაპისთვის გამოკითხულია 3 ფიზიკური პირი და გრძელდება მათი შემოსავლების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შესწავლა. ფიზიკური პირების დიდი ნაწილის იურიდიული მისამართი განსხვავდება ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისგან, რაც ართულებს მათ დროულ ინფორმირებას გასაუბრებაზე მოწვევის მიზნით.

ასევე შესწავლილ იქნა შპს “RMG Gold”-ის და შპს „ლილო-მოლი“-ს თანამშრომლების მიერ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სასარგებლოდ განხორციელებული შემოწმებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან შემომწირველი პირების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოპოვებული დოკუმენტაციით შემოწმებების განხორციელების წინა ან შემდგომ პერიოდში საეჭვო ჩარიცხვები არ გამოვლენილა. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, დასაბუთებულ იქნა შემომწირველების მიერ შემოწმებების განხორციელების შესაძლებლობა.

## 2. დაკანონების შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური დეკლარაციების შესწავლას როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო პერიოდში. არასაარჩევნო პერიოდში – 2020 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინეს 6 თვის<sup>4</sup> და საარჩევნო პერიოდამდე ყოველთვიური<sup>5</sup> ფინანსური დეკლარაციები.

რაც შეეხება საარჩევნო პერიოდს, პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილ იქნა 2 სამკვირიანი პერიოდის ფინანსური დეკლარაცია. დეკლარაციებმა მოიცვა 1 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი. სულ სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა 78 სუბიექტის საარჩევნო პერიოდის ფინანსური დეკლარაცია.

პირველი სამკვირიანი პერიოდის ფინანსური დეკლარაციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე დარღვევა:

- მპგ „თავისუფალი საქართველო“-მ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ წარმოადგინა ინფორმაცია ნაღდი ფულით (5,450 ლარი) ანგარიშსწორების შესახებ. შედეგად დაირღვა

4 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით

5 2020 წლის ივლისი და აგვისტოს თვეების ცალ-ცალკე



გენერალური აუდიტორის ბრძანებით<sup>6</sup> დამტკიცებული პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, კანონით განსაზღვრული ორმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრების მიზნით. სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტი ცნობილ იქნა სამართალდარღვევად და პარტიას გამოეცხადა გაფრთხილება.

- დეკლარაციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების<sup>7</sup> დარღვევით (ნაღდი ანგარიშსწორებით) შემონიშნულების განხორციელების რამდენიმე ფაქტი<sup>8</sup>. აღნიშნულ შემთხვევებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ მითითება აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შესახებ. ამ კუთხით მონიტორინგი განხორციელდება მომდევნო პერიოდის ფინანსური ინფორმაციის შესწავლის დროს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი აგრძელებს მე-2 სამკვირიანი პერიოდის ფინანსური დეკლარაციების სისწორის და დეკლარაციებში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერების შესწავლას.

### 3. შემოსული განსხაღვაჭის და მეღიაჟონიშონინგის შაღვაჭის შესწავლა

საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოსული განცხადებების, სამსახურის მიერ განხორციელებული მეღიაჟონიშონინგის და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, 7 საქმეზე დაინყო ადმინისტრაციული წარმოება:

- დასრულებულია წარმოება 3 საქმეზე, რომლებზეც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და სასამართლოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები.
- 2 სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და გაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში.
- 2 საქმეზე მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი სამართლებრივი და პროცედურული მოქმედებების გატარება.

6 2016 წლის 5 მაისის #2915/21 ბრძანება

7 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 272 მუხლი

8 შემთხვევები ძირითადად ეხებოდა არაარსებითი თანხების პოლიტიკური სუბიექტების ანგარიშებზე ნაღდი ფორმით შეტანას



### 3.1 დასრულებულია შესწავლა 3 საქმეზე:

1. 2020 წლის აგვისტოში, იურიდიულმა პირმა<sup>9</sup> მპგ „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ შესწირა 50,000 ლარი. აღნიშნული იურიდიული პირის წილის მფლობელი წარმოადგენს საქართველოს საზღვრებს გარეთ რეგისტრირებულ კომპანიას. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,<sup>10</sup> ამ ტიპის იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს შემომწირველი. შესაბამისად, განხორციელებული შემოწირულება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა აკრძალულ შემოწირულებად. სამსახურის მხრიდან აღნიშნული გარემოებების შესახებ პოლიტიკური პარტიის ინფორმირების შემდეგ, პარტიამ თანხა დააბრუნა შემომწირველი იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე.

გემოაღნიშნულ ფაქტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, კანონმდებლობით<sup>11</sup> განსაზღვრული ორმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრების მიზნით. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დაადგინა სამართალდარღვევა და იურიდიულ პირს გამოუცხადა შენიშვნა.

2. 2020 წლის სექტემბერში, ფიზიკურმა პირმა<sup>12</sup> 60,000 ლარი შესწირა მპგ-ს „ლელო საქართველოსთვის“, რის შედეგადაც 25,000 ლარით გადააჭარბა შემოწირულებისთვის კანონმდებლობით<sup>13</sup> დადგენილი ლიმიტის ოდენობას.<sup>14</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აღნიშნული გარემოებების შესახებ პოლიტიკური პარტიის ინფორმირების შემდეგ, პარტიამ თანხა უკან გადარიცხა შემომწირველი პირის საბანკო ანგარიშზე.

გემოაღნიშნულ ფაქტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში კანონმდებლობით<sup>15</sup> განსაზღვრული ორმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრების მიზნით. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, დაადგინა სამართალდარღვევა და ფიზიკურ პირს გამოუცხადა შენიშვნა.

3. მპგ-მ „თეთრები“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ წარმოადგინა გენერალური აუდიტორის ბრძანებით<sup>16</sup> დამტკიცებული პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის შესაბამისად ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ.

აღნიშნულ ფაქტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაიგზავნა თბილისის საქალაქო

9 შპს „თამ მენეჯმენტი“

10 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი

11 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 342 მუხლის მე-2 პუნქტი

12 ივანე ხაზარაძე

13 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

14 2020 წლის თებერვალში უკვე განხორციელებული ჰქონდა შემოწირულება 25,000 ლარის ოდენობით

15 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 342 მუხლის მე-2 პუნქტი

16 2016 წლის 5 მაისის #2915/21 ბრძანება





სასამართლოში, კანონმდებლობით<sup>17</sup> განსაზღვრული ჯარიმის დაკისრების მიზნით, 5,000 ლარის ოდენობით. სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე, ფაქტი ცნო სამართალდარღვევად და პარტიის მიმართ გამოიყენა სანქცია – გაფრთხილება.

### 3.2 სასამართლოში გაგზავნილია 2 აღინიშნავი საქართველოს ოქმი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 2020 წლის აგვისტოში ტელეკომპანია „ობიექტივი“-ს და „გირჩი ტვ“-ის ეთერებში შესაბამისად მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს და მკვ „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი“-ს სასარგებლოდ გასული პოლიტიკური შინაარსის ვიდეორგოლების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 17 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ტელეკომპანია „ობიექტივი“-ს ეთერში მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს სასარგებლო პოლიტიკური შინაარსის ვიდეორგოლების ხანგრძლივობამ ჯამში 51 წუთი და 46 წამი, ხოლო „გირჩი ტვ“-ის ეთერში მკვ „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩის“ პოლიტიკური რეკლამის ხანგრძლივობამ ჯამში 82 წუთი და 48 წამი შეადგინა. კომუნიკაციების კომისიის ოფიციალური ვებგვერდიდან მოცემული ტარიფების მიხედვით „ობიექტივი“-ს ეთერში გაშვებული ვიდეორგოლების ღირებულება – 3,106 ლარს, ხოლო „გირჩი ტვ“-ის ეთერში გაშვებული ვიდეორგოლების ღირებულება 828 ლარს შეადგენდა. ვიდეორგოლები სატელევიზიო ეთერში გაშვებულ იქნა უსასყიდლოდ, შესაბამისად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შეფასდა, როგორც შემონიშნული არაფულადი ფორმით. აღნიშნული შემონიშნულებები პოლიტიკური პარტიების მიერ არ იყო დეკლარირებული. ამასთან, მედია-კავშირი ობიექტივი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. შესაბამისად, მის მიერ მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს სასარგებლოდ განხორციელებული შემონიშნულება წარმოადგენს აკრძალულ შემონიშნულებას. შედეგად, მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს შემთხვევაში ადგილი აქვს აკრძალული შემონიშნულების მიღებას და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენლობას, ხოლო მკვ „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი“-ს შემთხვევაში შემონიშნულების მიღებას და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენლობას.

ორივე შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გადაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში, კანონმდებლობით<sup>18</sup> განსაზღვრული ორმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრების მიზნით.

### 3.3. მიზინაიშებს შესწავლა 2 საქმეზე:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შემოსული მასალების, ასევე მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს დაფინანსებისას შესაძლო კანონდარღვევის ფაქტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, თავისი მანდატის და კომპეტენციის ფარგლებში, დაიწყო მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს სასარგებლოდ განხორციელებული შემონიშნულებების კანონიერების შესწავლა.

17 საქართველოს საარჩევნო კოდექსის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

18 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34 მუხლის მე-2 პუნქტი



აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილია ინფორმაცია მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს შემომწირველი პირების შემოსავლების შესახებ. ასევე გამოთხოვილია ინფორმაცია საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან შემომწირველი პირების შემოსავლებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შემოსავლების დასაბუთების მიზნით გასაუბრებაზე დამატებითი განმარტებებისთვის მოწვეულ იქნა 12 პირი, თუმცა შეტყობინების ჩაუბარებლობის გამო, დღევანდელი მდგომარეობით, გამოცხადდა მხოლოდ 2 შემომწირველი. ამასთანავე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აგრძელებს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების ჩატარებას მკვ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს დანარჩენი შემომწირველების ფინანსების შესწავლის მიზნით.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ასევე დაწყებულია შესწავლა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „დავასრულოთ“ მიერ თავის ფეისბუქგვერდებზე გაშვებული პოლიტიკური რეკლამის შემცველი ფასიანი ვიდეორგოლების განთავსებისა და ამით შესაძლო აკრძალული შემოწირულების განხორციელების ფაქტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოთხოვილია ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან და საბანკო დანესებულებებიდან აღნიშნული იურიდიული პირის, მისი დირექტორის და გამგეობის წევრების შემოსავლებისა და საბანკო ოპერაციების შესახებ.



